№ 150 მკათათვე 18, სამშაბათი 1889 მკათათვე 18, სამშაბათი № 150

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

სამშაბათს, 18 ივლისს,
„ტფილისის საბრანიაში"
გამართული იქნება
ქართული წარმოდგენა.
მონაწილეობას მიიღებენ ქართულის თეატრის არტისტები.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

იყიდება
„საქართველოს სამოთხე"
ოც-და-ერთი წიგნი არის კიდევ დარჩენილი.
ფასი თითო წიგნისა ერთი თუმანი, გაგზავნით თერთმეტი მანათი.
ადრესი: ტფილისი, ბაგრატიონის ქუჩა, № 16. საბინინის სადგომი.
(5—1)

ტფილისი, 17 მკათათვე

მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად გერმანიასა და შვეიცარიას შუა დიდი უთანხმოება ჩამოვარდა იმის გამო, რომ შვეიცარიის მთავრობამ შეიპყრო გერმანიის პოლიციელი ვოლგემუტი და შემდეგ თავისის საზღვრიდგან გააძევა. ამ ამბავმა აალაპარაკა გერმანიის მართებლობა და მწერლობა და მთელის ევროპის ყურადღებაც მიიქცია. როგორც ჰხედავს მკითხველი, შვეიცარიის მართებლობას ისეთი არა ჩაუდენია-რა, რომ გერმანია ყალბზე შემდგარიყო და საქვეყნოდ შეერაცხ-ეყო პატარა შვეიცარია, მით უფრო, რომ შვეიცარიას საკმაო საბუთი ჰქონდა ვოლგემუტი შეეპყრო, რადგანაც ეს პოლიციელი, იმის მაგივრად, რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატებისათვის ედევნა თვალ-ყური, აქეზებდა, ამხნევებდა იმათ და ურჩევდა უფრო თამამად ემოქმედნათ. ამისდა მიუხედავად გერმანიის მართებლობამ გოდება მორთო, რომ შვეიცარია მეზობელ სახელმწიფოებს პატივს არა სცემს და თავის ნეიტრალიტეტს ბოროტად ჰხმარობსო. გერმანიის მწერლობამაც მხარი მისცა მართებლობას და ნადირთა ქვეყანად გამოაცხადა მშვიდი და განათლებული შვეიცარია. ამ ამბავში უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ბისმარკმა განიზრახა ხელი შეეხო შვეიცარიის ნეიტრალიტეტისათვის. ბისმარკი ამტკიცებდა, რომ ეგ ნეიტრალიტეტი, რომლის ძალით შვეიცარია სრულიად ხელ-შეუხებელია, უქმი არისო. ბისმარკის აზრი იმას ჰნიშნავს, რომ ევროპას ნება აქვს, როცა საჭიროდ დაინახავს, შვეიცარიის ხელიც შეახოს და ძალაც დაატანოსო.

შვეიცარიამ, რასაკვირველია, იუცხოვა და იწყინა გერმანიის საქციელი და დაამტკიცა, რომ ბისმარკი შვეიცარიის ნეიტრალიტეტის შესახებ ტყუილსა ჰბძანებდა; თან ისიც გამოაცხადა, რომ მზადა ვართ ჩვენის ღირსებისა, უფლებისა და ნეიტრალიტეტის დასაცველად, შვეიცარიელები ტომისა და სარწმუნოების განურჩევლად თავს გამოიდებენ და დასდებენ, თუნდა ათჯერ მეტად ძლიერი მტერი გარს შემოგვერტყას და თავს დაგვესხასო. რომ ეს ქადილი უქმ სიტყვად არ ჩამოერთმიათ გერმანიასა და სხვებს, შვეიცარიის მართებლობამ 16 მილიონი ფრანკი ისესხა და შეუდგა ჯარებისა და თოფ-იარაღის მზადებას.

როცა ეგეთი შეუპოვრობა და თავ-გამოდება შეამჩნია შვეიცარიას, გერმანიამ უფრო ტკბილად დაუწყო ლაპარაკი, რადგანაც კარგად იცის, რომ პატარა და მშვიდი შვეიცარია თავისს დიდის ხნის უფლებას არავის დაუთმობს და შინა საქმეებში არავის გაირევს. შვეიცარიის ნეიტრალიტეტი რომ უქმი არ არის და რამდენჯერმე ყოფილა აღიარებული ევროპის მიერ, ეს გერმანიამ კარგად იცოდა, ხოლო ამ ჟამად უნდა დარწმუნებულიყო, რა თვალით შეჰხედავს ევროპა გერმანიას, თუ ვინიცობაა შვეიცარიის ნეიტრალიტეტს ხელი შევახე, და როგორ მიეგებება თვით შვეიცარია გერმანიის ძალმომრეობასაო.

რად სცადა გერმანიამ ეგ საცადელი და რისთვის მოიმდურა პატარა, მაგრამ მხნე და თავ-გამოდებული შვეიცარია? ეჭვი არ არის, რომ გერმანიას აზრად არა ჰქონია და არც ექნება შვეიცარიის დაპყრობა, რადგანაც ეს დღეს უოვლად მოუხერხებელი და თითქმის შეუძლებელიც არის. ეს ყველასათვის აშკარაა და თვით შვეიცარიაც მალე მიჰხვდა, თუ რა სწადდა გერმანიას. შვეიცარიის მწერლობა ამბობს, რომ გერმანიას აზრად ჰქონდა მუქარით შეეშინებინა შვეიცარია და, თუ ვინიცობაა საფრანგეთთან ომი აუტყდება, შვეიცარია ხიდად გაეხადნა და თავისი ჯარები შვეიცარიაზე გაეტარებინა. ამით თავისს მომხრე იტალიას ხელს მოუმართავდა და ეს ორი სახელმწიფო უფრო მარჯვედ იმოქმედებდნენ საფრანგეთის წინააღმდეგაო.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, შვეიცარია არ შეუშინდა გერმანიის მუქარას და გერმანიამაც უფრო ტკბილად დაუწყო საუბარი, რადგანაც დარწმუნდა, რომ თავ-გამოდებული შვეიცარია ძლიერს წინააღმდეგობას გამიწევს, თუ რომ ხელი მევახე იმის ნეიტრალიტეტსაო. გერმანიამ იცის, რომ გულ-ნატკენ და მომდურებულ მხნე შვეიცარიელებს ხელს უწყობს მტრის წინააღმდეგ მთიანი და მიუვალი ბუნება და ამიტომ ეგ პატარა სახელმწიფო დიდად საშიში იქნება საფრანგეთთან ომის დროს. ამიტომაც დღეს უფრო ტკბილად ესაუბრება გუშინ საქვეყნოდ გამოლანძღულს შვეიცარიას. ერთის სიტყვით, პატარა შვეიცარიამ აღაგმა ძლიერისა და დაურიდებელის გერმანიის თავ-გასულობა და საქვეყნოდ დაამტკიცა, თუ რის შემძლეა პატარა, მაგრამ მხნე, თავის პატივისმცემელი და თავ-მოყვარე ერი, რომელიც მზად არის საკუთარის თავისუფლებისათვის მძლავრსა და მძვინვარე მოპირდაპირესაც კი შეებრძოლოს.

ე. ი.

ახალი ამბავი

⁂ მთავრობას განზრახვა აქვს რამდენიმე საშუალო და დაბალი სამრეწველო და სახელოსნო სასწავლებელი დააარსოს რუსეთის სხვა-და-სხვა ალაგას და სხვათა შორის ტფილისსა და ბათუმშიაც. ტფილისის სამრეწველო სასწავლებელს სამი განყოფილება ექმნება: სამეხანიკო-სატეხნიკო, საქიმიო-სატეხნიკო და სახუროთ-მოძღვრო. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, როდის დაარსდება ეს სასწავლებლები. სახელმწიფო საბჭოს კი უკვე შეუწყნარებია ეს საქმე და 40 საპროფესიო სკოლისათვის გადაუდვია ყოველ-წლივ 1.057,000 მანათი, გარდა იმ ფულისა, რაც ერთ ხანად დასჭირდება სკოლას მოსაწყობად და შენობის ასაგებად. დაბალი სახელოსნო სკოლა ბათუმში მომავალ სექტემბრიდამვე იქნება გამართული.

⁂ ქალაქის საბჭოს დარბაზში კარ.

ფელეტონი

ბატონ-ყმობა საქართველოში

რუსეთთან შეერთებამდის.

(ვუძღვნი პატივცემულს პროფესორს [illegible]. ლ. ოქრომჭედლიშვილს)

IV*)

აქ ჩამოთვლილმა სხვა-და-სხვა ბატონისგან დამოკიდებულ ხარისხზედ მყოფმა ყმამ დაჰბადა ის ტიპი ყმისა, რომელსაც გვიხატვენ სიგელები მე-XVIII და XIX საუკ. როგორ დაიბადა ეს ტიპი, რა შეითვისა ყველა ცალკე ელემენტისაგან, — აი საგანი, რომელიც საჭიროებს ახსნას და გამორკვევას. ჯერ უნდა წარმოვიდგინოთ თითოეულ ელემენტის მდგომარეობა, იმისი პიროვნული და ქონებრივი უფლება, რომ შემდეგ რთულს ტიპში, როგორიც არისყმა მე-XVIII საუკ., გამოსაცნობი აღარ იყოს, რა გავლენა იქონია ტყვემ და ნასყიდმა, ნაბოძებმა და წყალობის გლეხმა, თავის ნებით შესულმა და ვალ-გადაუწყვეტელმა კაცმა ყმის შექმნაში.

პირველი საძირკველი ყმობისა ჩაჰყარეს ტყვემ და ნასყიდმა, თუმცა მეფე ვახტანგი პირველს მეორეზედ ქვევით აყენებს („სყიდულზე უფრო ყმა არის" ვახტ. კან. §-254), მაგრამ განსხვავებას ვერა ვპოულობთ მათ მდგომარეობაში. ტყვესაც და ნასყიდსაც ჩამორთმეული აქვთ პიროვნული და ქონებრივი უფლება, მათ შეეხებათ დადგენილება: „ყმისა ყველა ბატონისა არის"[1]. ეს დადგენილება არის წაბაძვა ბერძენთა კანონ-მდებლობისა[2], რომელიც ჩართულია ვახტანგის სამართლის წიგნში. ამათზედ ვრცელდება ბერძენთა კანონები ყმის შესახებ: ყმას არ შეეძლო ყოფილიყო მოწმად[3], გაეხსენებინა რამე და უკან ეთხოვა იგი, არ შეეძლო საჩივარი შეეტანა, სამართალი ეთხოვნა და არც არავისმე მასზედ ჩივილის ნება არ ეძლეოდა[4]. ნასყიდის გლეხის მიერ შეძენილი სარჩო ეკუთვნის ბატონს[5]. ეს უკანასკნელი მუხლი ამოღებულია ძველთა რომაელთა უფლებიდგან, რომლის შესახებ ცნობილი იურისტი გაი სწერდა: quodcumque per servum adquiritur domino adquiritur (რასაც ყმა იძენს, იძენს ბატონისთვის[6]). ვის არ, გახსოვთ კაცია-ადამიანში დარეჯანის სიტყვები — „წართმევა არაფერი, ეგ რა საკვირველია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩით-მერდინიც", მაშინ, როდესაც ჩით-მერდინი საწყალ ელისაბედის გოგოს „თავის მოგროვილის ფულით უყიდნია („კაცია-ადამიანი?")

თუმცა დედა-აზრმა: «ყმისა ყველა ბატონისა არის» ფეხი მოიკიდა საქართველოში, მაგრამ დანარჩენი წესები ყმათ, შესახებ გადმოტანილნი საბერძნეთიდამ ვახტანგის მეფის მიერ, არ იქმნენ შეწყნარებულნი. ძველებურმა ჩვეულებამ შეამსუბუქა სასტიკი იურისდიქცია, ის შემხუთავი ზღუდე, რომელშიაც მოქცეული იყო ბერძენთა ყმა. ჩვენ გვაქვს საბუთი, რომელიც აბათილებს მე-163 მუხლს ბერძენთა კანონებისას, რომლის ძალით ყმას არ შეეძლო ყოფილიყო მოწმად და ეთხოვნა სამართალი. მაგალითად შეგვიძლიან მოვიყვანოთ პროცესი იესელაშვილისა და ველიშვილისა[7]. ლოლაძეს მდივანბეგებმა გადაუწყვიტეს გადაეხადნა სისხლის ფასი 120 მ. ბერძენთა კანონით-კი, ყმაზედ საჩივარს ვერავინ შეიტანს[8]. ჩვენში ბატონის წინააღმდეგაც შეეძლოთ ყმებს საჩივრის ატეხა, არამც თუ კერძო პირების წინააღმდეგ[9].

სიფრთხილით შეგვიძლიან ვსთქვა, რომ ჩვენებურს ტყვეს ყმად აყვანილს და ნასყიდს ჰქონდა მცირე პიროვნული უფლება და მოკლებული იყო ქონებრივს უფლებას. ძალად გადმონერგილმა უცხო იურისდიქციამ ყმად წაყვანილის ტყვისა და ნასყიდის შესახებ ვერა ნახა მომზადებული ნიადაგი ცხოვრებაში განხორციელებისთვის. ძველმა ჩვენმა კანონებმა მეფე გიორგისამ არ იციან ის წყობილება, რომელსაც ბატონ-ყმობა ჰქვიან. ალბულამ იცის ვალის ამღები და არა ის ყმობა, რომელსაც ვიცნობთ ვახტანგისა და ბერძენთა კანონებით.

მოყვანილმა მაგალითებმა დაგვანახვეს, რომ ჩვენი ყმა ისე არ არის შევიწროებული, როგორც ბერძენთა კანონები გვაუწყებენ ვახტანგის სამართლის წიგნში. არამც თუ პრაქტიკა, თვით ჩვენი კანონ მდებლობაც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენებურს ყმას ჰქონდა პიროვნული უფლებანი. ალბულას კანონები აძლევენ ყმას ორსავე უფლებას — ქონებრივსა და პიროვნულს. ვახტანგის დროს პრაქტიკამ უფრო შეხუთა ყმა, შეუმცირა თავისუფლება, მოაკლო ქონებრივი უფლება ბატონის სასარგებლოდ. ალბულას კანონებით შეგვიძლიან ასეთი წარმოდგენა ვიქონიოთ გლეხის მდგომარეობაზედ: გლეხს აქვს თავისი საკუთარი სარჩო, რომელიც შეუძლიან თან წაიღოს გადასვლასთანავე ერთის ადგილიდამ მეორეზედ; გარდა ამისა იმას ერგება მესამედი ნაწილი იმ მოძრავის ქონებისა, რომელიც თავის შრომით შესძინა ბატონს[10], იმას შეუძლიან თავდებობა ბატონის ხელის ჩამორთმევინებით[11]; იმას აქვს უფლება ბატონის ხელის მოწერით გაყიდოს და დააგიროს მამული[12]; გლეხს, რომელიც მიეწერა ახალს ბატონს, შეუძლიან დაბრუნდეს „პატრონისას მითვე საქონლით" და ცოლ-შვილით. ეს უფლება ვრცელდება შვილიშვილამდე. თუ შვიდის წლის განმაელობაში თვით არ დაბრუნდა და არც ძველმა ბატონმა მოიკითხა იგი, წინანდელი პატრონი ჰკარგავს უფლებას წაიყვანოს დაკარგული გლეხი თავისთან[13].

ალბულას კანონ-მდებლობა არ არჩევს ჯერ კიდევ ყმათა შორის ნაბოძებს, ნასყიდს და თავის ნებით შესულს. იმის დროს არ არის ის ყმობა, რომლის კვალს ვპოულობთ ვახტანგის კანონებში. ალბულამ იცის მხოლოდ დროებითი მოვალე[14], რომელსაც შეუძლიან გადასწყვიტოს ვალი და განთავისუფლდეს. ამისთანა ყმას, როგორც ვნახეთ, არ აკლია არც პიროვნული და არც ქონებრივი უფლება. რამდენად უკან წავიდა ყმის კეთილ მდგომარეობა, როგორ შეა-

---

(* იხ. „ივერია" № 148.

[1] ვახტანგის კანონები, § 258.

[2] ბერძენთა კანონები, § 166.

[3] ib., § 163.

[4] ib., § 165.

[5] ib., §§ 310 და 311.

[6] Gaii lustitutiones I, § 52. Ср. Рус. Правду, 113/130.

[7] Кресть. гр., 58. Церк. гудж., 11. თეთრებთაგანი ყმანი იფიცებდნენ ყორანზედ, Кр. гр., 69.

[8] Кр. гр., 23.

[9] Церк. гудж., 30 ნინო-წმინდელი მიტროპოლიტი და მისი ყმანი.

[10] ალბულას კან., §§ 73 და 74.

[11] ალბულა, § 69. შეად. Кр. гр., 58, 69; Церк. г., 11.

[12] ალბულა, § 77. შეად. Кр. гр., 6, 51; Церк. гудж., 76.

[13] ალბულას კან., § 78.

[14] ალბულას კან., § 78.

გა ბარაქიანი და ლამაზი ჭალი ეკიდა. ოც-და-ათი თუმანი დაუჯდა ეს ჭალი ქალაქსაო, ამბობენ. ამ კანიკულებში სულ ორჯელ არ გაღებულა დარბაზის კარი, რადგან საბჭო ზაფხულობით საქმეებს არ ეკიდება. ყველაფერი თავისს რიგზე იყო დარბაზში. დღეს, 17 ივლისს, გააღეს კარები და ნახეს, რომ ჩინებული ჭალი დარბაზისა სრულებით დამსხვრეული და დალეწილი ეგდო იატაკზე. თუჯის ნაჭრებიც არ გადარჩენილიყო სალი. არავინ არ იცის მიზეზი ჭალის ჩამოვარდნისა. ეჭვი აქვთ მხოლოდ, რომ ნამეტანის სუსტის მავთულებით იყო დაბმული ჭალი შუა ჯაჭვზედაო.

⁂ გუშინ-წინ, 16 ამ თვისას, სომეხთა ფერისცვალობის დღესასწაული იყო. ამ დღესასწაულს უწოდებენ „ვარდავარს“. სურბ-კარაპეტის ტაძრის გალავანში დიდ-ძალმა მლოცავმა მოიყარა თავი, მათ შორის მომეტებული ნაწილი უფრო მანდილოსნები იყვნენ. გალავანში და იმის გარშემო გათენებამდე ზურნითა და მუსიკით ვახშამს მიირთმევდნენ ახლო-მახლო მცხოვრებელნი. ვახშამს შემდეგ გაიმართა ლეკური და ასე ლხინში გაატარეს მთელი ღამე ღამის-მთევლებმა.

⁂ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ა. ი. გროსმანი, 15 ამ თვისას გაემგზავრა ქუთაისს.

⁂ გუშინ, 17 ამ თვისას, სომეხთა მიცვალებულების მოხსენების დღე იყო. ამ დღეს დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა ხოჯივანქას სასაფლაოზე და აქ მიცვალებულის სომეხთა მწერალის რაფისა და ვაჰრის მანის საფლავები რამდენჯერმე აკურთხებინეს მიცვალებულების ნაცნობთა და პატივისმცემელთ. მათ შორის სომხის სემინარიის შეგირდებმაც აკურთხებინეს თავიანთის ხარჯით მწერალის რაფის საფლავი.

⁂ გაზეთში უკვე მოხსენებული იყო, რომ ის ხუთი მომგებიანი ბილეთი, რომელიც ბ-ნს ი. გოგებაშვილს მოჰპარეს, უპოვეს ქართველ ვაჭარს ხანდენოვს. ეხლა ჩვენ გვაცნობებენ, რომ ეს ბილეთები ხანდენოვისათვის დაუგირავებია ერთს ქართველსავე ვაჭარს ორმოც-და-ათ თუმნად. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ ხანდენოვი სრულიად ვერ იცნობს იმათ, ვინც ამ ქურდობაში ურევია, თითონვე მიუტანია გამომძიებლისთვის ნაქურდალი, და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ხანდენოვი სრულიად უბრალო გამოდგესო.

⁂ ამ დღეებში ავლაბარში შემდეგი უბედურება მოხდა: გოგილოს აბანოს ახლო მენახშირეს მოჰქონდა ნახშირი ჯორებით. ამ დროს დიდ-კახეთის ქუჩაზე მოდიოდა 17—18 წლის ქალი შახნაზაროვისა. ერთი ჯორი შეშინდა და დაფრთხა. შახნაზაროვისამ ვერ მოასწრო მორიდება, ჯორმა წიხლი ჰკრა და კბილები სულ ჩაულეწა. ქალი დავარდა მიწაზე, მაგრამ მალევე წამოდგა. საუბედუროდ, ჯორმა მეორედ მიარტყა წიხლი საბრალო შახნაზაროვისას მარჯვენა საფეთქლის ცოტა ქვემოდ. გულ-წასული ქალი ძლივს-ძლიობით მოაბრუნეს და გაგზავნეს სახლში. ექიმს, რომელიც სწამლობს, უთქვამს, რომ მორჩენის იმედი აღარ არისო. მენახშირე მაშინვე შეიპყრეს, ხოლო ისევ გაანთავისუფლეს.

⁂ ამ სიცხეებში მტკვარზე დიდ-ძალი ხალხი დადის საბანაოდ და ტფილისის ქურდ-ბაცაცებსაც ხომ ეს უნდათ. მობანავეები, რასაკვირველია, ტანისამოსს ნაპირზე სტოვებენ, სადაც არა ერთი და ორი ჯიბგირი ტრიალებს. ზოგნი ამათგანნი მიუჯდებიან ხოლმე ტანისამოსს, დაუწყებენ ჩხრეკას და, რასაც-კი მოახელებენ, ამოაცლიან და არხეინად წავლენ. მაგალითად, კვირას, ამ თვის 16-ს, ანჩხატის ტაძრის ახლო ბანაობდა ვიღაცა კობახიძე. ბანაობის დროს მისულა ტანისამოსთან ვიღაც ჯიბგირი, ამოუცლია ვერცხლის საათი და ხუთი მანეთი ფული და გაპარულა. ამას წინად კიდევ, გარეთუბანში, მტკვარში მობანავე სიტოვს მოჰპარეს სულ მთლად ტანისამოსი და სახლში ტიტველა გაისტუმრეს.

⁂ ქართლში წელს ძალიან ნაკლები მოსავალია. პური თითქმის სულ არ მოვიდა ურწყავებში კიდევ არა უშავს-რა და სარწყავებში-კი ძალიან წახდა. მთელი ლიახვის ხეობაში, ფრონის ხეობაში და მეტადრე იქ, საცა ლამი მიწაა, დიდი მოუსავლობაა. ქერის მოსავალს არა უჭირს-რა. სიმინდები კარგებია, ვენახები-კი ყველგან წახდა და თითო-ოროლა სოფელში თუ ასხია, ისიც ძალიან ნაკლებად.

⁂ **კავკავი**: კავკაველს ქართველობას, თუმცა ჯერ-ჯერობით საკუთარი მღვდელი არა ჰყავს, მაინც იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან საშუალება მიეცემა ქართული წირვა-ლოცვა მოისმინოს ხოლმე და ამიტომაც სცდილობს სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთი შეიძინოს. ამას წინად, როცა ნიკოლოოზ ზურაბოვს თავისის დედის შვიდის წირვა ჰქონდა, ხელად მოილაპარაკეს ქართველებმა, რომ ერთი კარგი შევერცხლილი ქართული სახარება შევიძინოთო. იქვე ერთის საათის განმავლობაში რამდენიმე თუმანი ფული შეაგროვეს და იმედი აქვთ, რომ ორი, ან სამი ამდენი კიდევ მოგროვდებაო. ქართული პარაკლიტონი, კურთხევანი და ჟამნი ბ-ნ ნიკოლოოზ ზურაბოვმა იკისრა: მე თითონ ვიყიდი და შემოვსწირავო. გარდა ამისა ბ-ნ სვიმონ მეფურნოვმა იკისრა სხვა წიგნების შეძენა. როგორც ჰხედავს მკითხველი, კავკავის ქართველობას დიდი სურვილი აქვს თავიანთი მღვდელი იყოლიონ, ქართული წირვა-ლოცვა შემოიღონ და თავიანთის სურვილის დასაგვირგვინებლად არც ხარჯს შეუშინდებიან და არც ცდასა. სასურველია მხოლოდ, საეკკლესიო მთავრობამ ამ სურვილს ყურადღება ათხოვოს და დიდის ხნის წადილი შეუსრულოს აქაურს ქართველობას.

⁂ **იქიდამვე**: ამ თვის პირველ რიცხვებში კავკავის მახლობლად შემდეგი ბოროტება ჩაიდინეს ვიღაცეებმა: საღამოს ჟამს ერთი რუსი თავისის ცოლითურთ „პოვოსკაში“ იჯდა და მინდვრიდგან მოდიოდა დღიურის მუშაობის შემდეგ. კავკავს რომ მიუახლოვდნენ, გზაზე დახვდათ ორი ცხენოსანი კაცი. ერთი ამათგანი ჩამოხტა ცხენიდგან, გააჩერა „პოვოსკა“, რუსს დამბაჩა გულზე მიადო და უთხრა: „ხმა არ ამოიღო, თორემ ეხლავე გაგათავებო“. ამასობაში მეორემ ის რუსის დედაკაცი გააუპატიურა. შემდეგ ამან მიადო გულში დამბაჩა რუსს და ამასობაში პირველმა ჩაიდინა იგივე დანაშაულობა. შემდეგ შესხდნენ ცხენებზე და გაჰკურცხლეს. ცხრა საათი იქნებოდა, როცა რუსმა თავისი უბედურება პოლიციას აცნობა. რუსი და იმისი ცოლი ამბობენ, რომ ის ცხენოსნები კარგად იყვნენ ჩაცმულნი და რუსულს წმინდად ლაპარაკობდნენო. პოლიცია მეორე დღესვე შეუდგა დამნაშავეთა ძებნას, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერა აღმოუჩენია-რა. კავკავში ამბობენ, ამისთანა ცუდს საქმეს ჯერ არავინ მოსწრებიაო.

⁂ 16 ამ თვისას, პირველს განყოფილებაში, ოლგას ქუჩაზე, ცხენის რკინის გზის ვაგონმა (№ 6) წააქცია ტფილისის მოქალაქის ალექსი კასაშვილის ვაჟი, სამსონი, შვიდის წლისა. ყმაწვილს თავი დაუშავა. როგორც ექიმი ამბობს, საშიში არა არის-რა.

⁂ იმავე დღეს, მეშვიდე განყოფილებაში, მტკვარში დაირჩო ბანაობის დროს რაჭის მაზრის მცხოვრები კარპი იოსების ძე არჩვაძე, თექვსმეტის წლისა.

⁂ 17 ამ თვისას, მეათე განყოფილებაში, დიტრიხის ლუდხანაში ცეცხლი წაეკიდა თივას და საჯინიბოს სახურავს. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ქარხანა დაზღვეულია 17,000 მანეთად. ზარალი დიდი არ არის. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 15 ამ თვისას, მეექვსე განყოფილებაში, დილის ათს საათზე, სპარსეთის ქვეშევრდომმა ჰასან-უსეინ-ოღლიმ ორი ცხენი შერეკა მტკვარში და წყალმა გაიტაცა. ჰასან-უსეინ-ოღლი დაირჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

⁂ იმავე დღეს, მეტეხის მოედანზე, ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი ქერბალაი-ყაროღლი და ალახვერ-უმბატი შევიდნენ სპარსეთის ქვეშევრდომის ისაჯან-სარქისოვის თოფხანაში იარაღის სასყიდლად. ალახვერ-უმბატმა თოფი გასტენა და უეცრივ გაისროლა. ტყვია ფეხში მოჰხვდა იმის ამხანაგს. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆◆

ვიწროა ვახტანგის კანონებმა და პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ, — აი საგანი, რომლის გარჩევას უნდა შევუდგეთ.

V

პირველ თვალ-საჩინო განსხვავებად ალბულას და ვახტანგის კანონებში ის მიგვაჩნია, რომ უკანასკნელი უკვე ავლებს ხაზს ტყვეს, ნასყიდს, ბოძებულს და თავის ნებით შესულ ყმათა შორის. ტყვე „სყიდულზე უფრო ყმა არის“[15]). ნასყიდს უფრო ქვეით აყენებს ნაბოძებზე, იმისი ეკონომიური მდგომარეობა უფრო შევიწროებულია, ვიდრე წყალობის ყმისა. „ვასაც ყმა ამოუვარდეს, ნასყიდი თუ იყოს, მისი საქონელი ბატონს უფრო ეხალთვის, თუ ცოლი და ქალი დარჩება სამკვიდროთი და შესანახავით შეიჯეროს; თუ ან წყალობის ყმას იყვეს, ან პატრონის მინაცემი, იმის ცოლს უფრო ცოტა რამ გამოერთვას“[16]). მაშასადამე, ქონებრივი მდგომარეობა ბოძებულის ყმისა საგრძნობლად განირჩეოდა „ნასყიდისგან“. იმის ქვრივობლებზედ არა ვრცელდება კანონი ბერძენთა წაბაძვით დადგენილი — „ყმისა ყველა ბატონისა არის“. წყალობის ყმის ცოლ-შვილს, ვახტანგის სიტყვით, ბატონის სასარგებლოდ „ცოტა რამ გამოერთვის“.

მაშასადამე, ვახტანგ მეფემ პირველად გაჰყო ტყვე, ნასყიდი და წყალობის ყმა, თითოეულს მიუწყო ის, რაც ცხოვრებამ გამოიკვლია. ალბულასთან შედარებით ვახტანგის ყმა უფრო შევიწროებულია, ამას გარდა იმას მოაკლდა ქონებრივ უფლებისაგან ერთი ნაწილი ბატონის სასარგებლოდ. ალბულას ყმა თავის სარჩოს არ უწილადებს ბატონს, ვახტანგისა კი, თუნდ წყალობისაც იყვეს, მაინც «ცოტა რამ» უნდა გაიღოს ბატონისთვის[17]). ამ შევიწროებას ყმისას ვახტანგის მიერ ერთის მხრით ვხსნით ცხოვრების მსვლელობით, რომელიც თავისუფალს კაცს ხდიდა უფრო და უფრო მონად, როგორც ეს მოხდა მთელს ევროპაში; მეორეს მხრით ბერძენთა გავლენით ვახტანგის რეფორმაზე. ვახტანგმა მისცა იურიდიული სანქცია ბატონყმობის წეს-წყობილებას საქართველოში, გადმოიტანა შეხედულობა ბერძენთა ნასყიდზედ, მაგრამ თითონვე სცდილობდა კანონით შეემსუბუქებინა ყმის ტვირთი. „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს“[18]), ამბობს კაცთმოყვარე მეფე, მაგრამ ეს ჰუმანური რჩევა დარჩა ცხოვრებაში უქმად.

ვახტანგ მეფე არას გვაუწყებს, რით განირჩეოდა თავის ნებით ყმად შესული ნასყიდისგან და ნაბოძებისაგან. ვიცით, რომ თავის ნებით ყმად შესული არა ჰკარგავდა უფლებას, ალბულას კანონით განთავისუფლებულიყო[19]). ვახტანგის კანონებში არის მუხლი შესახებ ყმის გადასვლისა ერთის ბატონისაგან მეორესთან, მაგრამ თავის ნებით შესულზედ ცნობას ვერა ვპოულობთ. ამ შემთხვევაში შეგვიძლიან მივმართოთ სიგელებსა და გუჯრებს და იქიდგან გამოვარკვიოთ, — რა განსხვავება იყო ნასყიდ-ნაბოძებსა და თავის ნებით შესულთა შორის.

თავის ნებით შესულს ყმას ეძლევა ბატონისაგან პირობა, რომ იგი მოექცევა „კანონიერად და სამართლიანად“[20]), შეინახავს კარგად და უვნებლად[21]). იმათის პრივილეგიიდამ შეგვიძლიან დავასახელოთ თავისუფლება გოგოსი[22]). ხშირად ეკკლესიის თავისუფალნი ყმანი მხოლოდ საკმელსანთელს სწირავდნენ[23]), ხან ამას ძღვენი და ფულიც ემატებოდა[24]. ჩვეულება თავის ნებით ყმად შესულისა — გადასვლა ერთის ბატონისაგან მეორესთან, — რომლის შესახებ გვაქვს ცნობა ალბულას კანონებიდამ, პრაქტიკულს ცხოვრებაში გავრცელებული იყო. თავის ნებით შესულს და აგრეთვე ნაბოძებს ჰქონდა უფლება, ტრადიციით მინიჭებული, დაენებებინა თავი ბატონისთვის, თუ იგი აწუხებდა მეტის გადასახადით და გადასულიყო სხვის მამულში ან ყმადვე, ანუ ყმის და მეიჯარადრეს შუა მდგომარეობა დაეჭირა, გამხდარიყო ხიზნად[25]) თავისუფლად შესულს და ნაბოძებს ეძლევათ მიწა, საქონელი, თესლი, ვენახი, წყალი, წისქვილი, კალო, როგორც რუსეთში ეძლეოდათ ესრედ წოდებული инвентарь[26]). მიწა ეძლევათ სამკვიდროდ იმ უფლებით, რომ გასყიდონ კიდეც ბატონის თანხმობით[27]). აქედამ სჩანს, რომ სახელმწიფო თავის ნებით შესულს არ უყურებდა ისე, როგორც ყმას. თვით ნაბოძები სდგას უკეთესს მდგომარეობაში შედარებით ნასყიდთან და, გარდა იმ განსხვავებისა, რომელიც ზემოდ ვუჩვენეთ, ახლა დავინახეთ, რომ „ნაბოძებს“ სხვა უპირატესობაც ჰქონდა ნასყიდთან: შეეძლო მამულის გასყიდვა ბატონის თანხმობით.

ბატონის ნების დართვა მამულის გასყიდვაში არ არის მხოლოდ ჩვენის წარსულის კერძო ამბავი. ეს ჩვეულება გავრცელებული იყო მთელს ევროპაში. სიუზერენის დაუკითხავად ყმა ვერ გაჰყიდდა თავის ნაჭერ მიწას. ამ უფლების მიღებაში იგი აძლევდა ბატონს ბაჟს (lods et veuts). ჩვენში ბატონს ჰქონდა უფლება ჯერ თითონ „ნაბოძებს“ ყმას შევაჭრებოდა და, თუ ჰსურდა, შეესყიდნა[28]). საეკკლესიო გლეხებს ხანდახან უმცირდებოდათ უფლება გასყიდვისა იმით, რომ ვალდებულნი იყვნენ მიეყიდნათ უთუოდ საეკკლესიო ყმისთვის[29]). ორსავ ჩვეულებას თავისი საბუთი ჰქონდა. ბატონი არა ჰკარგავდა შემთხვევას იაფად შეეძინა თავის ვასსალის მამული, რომ შემდეგ სარგებლიანად გაეცა. ეკკლესიაც სცდილობდა საიმედო ხელში გადაეცა თავისი მამული. იგი იცნობდა თავის ყმებს და მათგან გამოწერვა უსარგებლო იქნებოდა: ახალი ყმა შეიძლებოდა ჯანჯალი კაცი ყოფილიყო, არ ეწია ის უღელი, რომელსაც ადებდა ბატონი ყმას.

თუმცა ერთის მხრით კანონმა, მეორეს მხრით თვით ჩვეულებამ გაავლო მკრთალად განსხვავების ღარი ბოძებულსა, თავის ნებით შესულსა, ნასყიდს და ვალ-გადაუწყვეტელს[30]) შორის, მაგრამ ხშირად ისინი არ ირჩევიან ერთმანეთში და გაერთებულ იქმნენ მე-XVIII საუკ. ბატონის თვალში. იგი უყურებდა მათ, როგორც მემკვიდრეობითს, შეუცილებელს ყმას, რომლის ჩამომავლობა და მიზეზი ყმად გახდომისა მისთვის საჭირო აღარ იყო. ჩვენში მოხდა ის პროცესი, რომელიც კარგად ცნობილია რუსეთში. მე-XVIII საუკ. „закупъ“, ნასყიდი, შეუძლებელი მოვალე და გლეხი ბატონის მამულზედ დასახლებული გახდნენ პეტრე დიდის განკარგულებით სამკვიდრო ყმად ბატონისა[31]). რაც პრაქტიკამ დაადგინა, იგი კანონით განამტკიცეს ჩვენში ვახტანგმა და რუსეთში პეტრემ. დაიბადა რთული და მეტად ძნელად გამოსაცნობი ტიპი ყმისა, რომელმაც შეითვისა სხვა-და-სხვა ელემენტები ყმობისა.

ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

[15]) ვახტანგის კან., § 254. ტყვე ყველგან იყო პირველი წყარო ბატონ-ყმობისა. Чичеринъ, „Опыты по исторіи русскаго права, გვ. 144.

[16]) ვახტანგის კან., § 248.

[17]) ალბულას კან., §§ 73 და 74; ვახტ. კან., § 48.

[18]) ვახტანგ. კანონ., § 201.

[19]) ალბულას კან., § 78.

[20]) Кресть. гр., 49.

[21]) Кр. гр., 66.

[22]) Кр. гр., 26.

[23]) Церк. гудж., 55, 87, 66.

[24]) Церк. г., 65.

[25]) Кр. гр., 29, 49.

[26]) Бѣляевъ. „Крестьяне на Руси“, стр. 44—50.

[27]) Двор. гр., 23; Кресть. гр., 3, 7, 11, 52. Церк. гудж., 7, 12, 52, 59, 64, 65.

[28]) Кр. гр., 52. ასეთივე ჩვეულება იყო დასავლეთს ევროპაში. დასტურლ., 18.

[29]) Кр. гр., 56. ეს საერთოდ ცნობილი ჩვეულებაა, სწარმოებს ბატონის უფლებიდგან, ადევნოს თვალი მეურნეობასა და მამულის შემუშავებას.

[30]) ვალ-გადაუწყვეტელნი ყმად რჩებოდნენ, როგორც „ნასყიდნი“. Кр. гр., გვ. 7, 9. ამიტომ ამათ შესახებ აღარ ვსცანით საჭიროდ ცალკე გვილაპარაკნა. რაც შეეხება ნასყიდს, იგივე ითქმის ვალ-გადაუწყვეტელ ყმად დარჩენილზედ.

[31]) რუსეთში 1718 წ. პირველის რევიზიის შედეგი იყო ეს გარემოება.

უცხოეთი

ინგლისი. ამას წინად პარლამენტში ლაპარაკი ასტყდა ინგლისის დედოფლის ჯამაგირის გამო. ლიბერალები ითხოვდნენ, რომ შემცირებულიყო დედოფლის ჯამაგირი, მაგრამ ლიბერალების მოთავე მოხუცებული გლადსტონი ეწინააღმდეგა თავის დასს და მხარი არ დაუჭირა ლიბერალებს. გლადსტონს აზრად ისა ჰქონდა, რომ ამ საქმის გამო არა ვაწყინო რა დედოფალსაო, რადგან დღეს არა, ხვალ შეიძლება მისი მინისტრი გავხდე კვლავ და იმისგან ველოდე შემწეობას ჩემის დასის გაძლიერებისათვისაო. ეს მოსაზრება კეთილ-გონიერის პოლიტიკოსისა, რასაკვირველია, ყველასათვის ადვილი მისახვედრი არ იყო და ამიტომ გლადსტონს დედოფლის ქომაგობა კონსერვატორობაში ჩამოართვეს. არც გაჯავრებულან ასე გლადსტონზე ლიბერალები მას აქეთ, რაც სახელოვანმა მოხუცმა ირლანდიის განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო. თუმცა ამ საგანში გლადსტონელები მაინც დამარცხდებოდნენ, ვისკენაც უნდა ყოფილიყო თვით გლადსტონი, მაგრამ ლიბერალები მაინც დიდად ემდურებიან თავიანთ მოთავეს.

— ამერიკაში შეუდგენიათ დიდი საზოგადოება, რომელსაც უნდა დააარსოს ირლანდიის რესპუბლიკა. დაარსება რესპუბლიკისა ასე სწადიანთ: უნდათ იყიდონ მექსიკის მთავრობისაგან საკმაოდ ვრცელი მიწა-წყალი სამხრეთ კალიფორნიაში, დაასახლონ იქ ირლანდიელები და დააწესონ რესპუბლიკა. ვერაფერი დრო-კი ამოურჩევიათ სწორედ ირლანდიისათვის გულ-შემატკივარ ამერიკელებს. ირლანდიელებს იმედი აქვთ, რომ დღე-დღეზე ჩვენი საქმე გადაწყდება, თვითმმართველობა მოგვენიჭება და ჩვენგან ამერიკაში გადასახლებულნი ძმანი უკანვე დაბრუნდებიანო და, თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, შესაძლებელია, უკან-კი არა, ბევრნი კვლავ გადასახლდნენ ამერიკაში ირლანდიის რესპუბლიკის დაარსებით წატყუებულნი.

— დუბლინში პოლიციას შეუმჩნევია ერთი ვიღაც ღარიბად ჩაცმული დედაკაცი, რომელიც გლახაობდა და გამვლელ-გამომვლელს მოწყალებასა სთხოვდა. დედაკაცი საეჭვო სახისა ყოფილიყო და პოლიციას შეეპყრო, ვაი თუ ჰკუაზე შეშლილი იყოს და დანაშაულობა რამ ჩაიდინოსო. შემდეგ გაუჩხრეკიათ ჯიბეები და აღმოჩენია ჯიბეში სამასის თუმნის ბანკის ბილეთები და ას ოც-და-ოთხის თუმნის თამასუქები, ორას ორმოცის თუმნისა და სამის მანათის ოქროს ფული, ორმოც და-ათის თუმნისა და ოთხის მანათის ვერცხლის ფული და ცხრა თუმნის გროშები. სულ შვიდას-სამოცი თუმანი ჰქონოდა ზედა. საკვირველი იყო, ასეთი სუსტი და სნეული ადამიანი როგორ ატარებდა თან ამოდენა სიმძიმის ფულსაო. ზოგი თურმე პარკებით ეკერა ტანისამოსზე, ზოგი ბაწრებით ჰქონდა დაბმულიო.

შვეიცარია. მოგვყავს რამდენიმე ცნობა შვეიცარიის წეს-წყობილებისა და სამხედრო ძალ-ღონის შესახებ. შვეიცარიაში სცხოვრობს 3 მილიონამდე სული მეომარი. ძალა შესდგება: რჩეულ ჯარისაგან, ლანდვერისაგან და ლანდშტურმისაგან. სამხედრო სამსახური სავალდებულოა ყოველ შვეიცარიელისთვის 20—50 წლამდე, თუ-კი რაიმე ისეთი ნაკლულევანება არა აქვს, რომელიც ხელს უშლის სამხედრო სამსახურის შესრულებას. პირველს წელიწადს ჯარის-კაცი ემზადება, ეჩვევა საომარ ხელობას, როგორც ჯარის-კაცი 12-ს წლის განმავლობაში. შემდეგს 12 წელიწადს თითოეული ამათგანი ვალდებულია ჩაირიცხოს რჩეულ ჯარში. შემდეგს 12 წელს ირიცხება ლანდვერში და დანარჩენს 6 წელიწადს — ლანდშტურმში.

ხმელეთის ჯარის მოწყობილობა: რჩეული ჯარი მუდმივი როდი არის, ის შეკრბება ხოლმე სავარჯიშოდ მხოლოდ დრო-გამოშვებით. ჯარში შესვლისათანავე ახლად გამოწვეულნი ჯარის-კაცნი ვარჯიშობენ, ქვეითნი - 45 დღის განმავლობაში, ცხენოსანნი—80 დღეს და არტილერიისა-კი—55 დღეს. ამ ხნის განმავლობაში სრულიად თავდება სარაზმო სამსახური. ამას შემდეგ ახლად გამოწვეულნი ჩაირიცხებიან რჩეულ ჯარის რაზმებში, აქ ისინი მხოლოდ სიებში ირიცხებიან და შეიკრიბებიან ერთის წლის შემდეგ 16 დღით, რათა განიმეორონ, რაც წინად უსწავლიათ. იმ წლებში, როდესაც ამისთანა გასამეორებელი გამოწვევა ჯარისა არ არის, თითოეული სიაში აღნიშნული მხედარი ვალდებულია ოც-და-ათჯერ მაინც გაისროლოს თოფი «მსროლელთა საზოგადოებაში».

ლანდვერი შესდგება ყოველ გვარის ჯარის-კაცისაგან. ლანდვერში ჩარიცხულნი შეიკრიბებიან ხოლმე სავარჯიშოდ სამის წლის შემდეგ და ვარჯიშობა 17 დღეს გასტანს.

ლანდვერში მყოფი უნდა გამოცხადდეს ყოველს ორს წელიწადს ერთის დღის სავარჯიშოდ.

ლანდშტურმი შესდგება იმ მოქალაქეთაგან, რომელნიც არ ირიცხებიან არც ჯარში და არც ლანდვერში და არიან 17—50 წლისა. აგრეთვე ირიცხებიან ვოლონტერები 50 წელიწადზედ გადასულნი.

მშვიდობიანობის დროს ლანდშტურმი არ იკრიბება სავარჯიშოდ, იგი შეიკრიბება ხოლმე მხოლოდ ომის დროს. მშვიდობიანობისას შვეიცარიას გარდა მასწავლებლებისა (ინსტრუქტორები), ჯარი სრულიად არა ჰყავს.

რადგანაც ჯარში სამსახური ცოტა ვადით არის, ამისთვის მთავრობა სცდილობს ყოველ გვარი საშუალება მიიღოს, რომ შვეიცარიელები საომარ ხელობას შეაჩვიოს.

ამ განზრახვით შვეიცარიის მმართველობა 300 ათას ფრანკს აძლევს „კერძო მსროლელთა საზოგადოებას“ და ამ ჟამად ამ ნაირი მსროლელთა საზოგადოება 2617-მდე ითვლება, რომელთაც 85 ათასი წევრი ჰყავთ. ამ „საზოგადოებათ“ ხაზინა მუქთად აძლევს თოფსა და პატრონებს. ამას გარდა „ხუთასის კერძო საგიმნასტიკო საზოგადოების“ შესანახავად იმავე ხაზინიდგან იხარჯება ათი ათასი ფრანკი.

შვეიცარიაში 50-მდე კორპუსი ითვლება სხვა-და-სხვა ქალაქში. მოსწავლე ახალგაზდობა შეადგენს განსაკუთრებულს როტებს, რომელიც ამ თავითვე ვარჯიშობს და ეჩვევა სამხედრო საქმეს აფიცრების ხელმძღვანელობით, რომელნიც უსასყიდლოდ ასწავლიან ახალგაზდობას.

შვეიცარიის ჯარის რაოდენობა:

შტაბი	102
ქვეითი	79,490
ცხენოსანი	3,348
არტილერია 304 ზარბაზანი და	13,286
საინჟინერო ჯარი	2,992
სასანიტარო და საადმინისტრაციო	1,704
ლანდვერი:	
ქვეითი	79,490
ცხენოსანი	3,348
არტილერია 48 ზარბაზანი და	7,256
საინჟინერო ჯარი	2,992
სასანიტარო და საადმინისტრაციო	660

სულ შვეიცარიას ჰყავს ჯარის-კაცი 195,000

8,253 ოფიცერი და 348 ზარბაზანი აქვს. ამას გარდა ლანდშტურმში გამოიყვანს კიდევ 100,000 კაცამდე. ამ რიგად ამ ქვეყანას სამი მილიონი მცხოვრებიც არა ჰყავს და სამას ათას კაცამდე ჩინებული ჯარი შეუძლიან გაჭირების დროს გამოიყვანოს თავის დასაცველად.

◆◆

სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

წერილები დე-გარინიისა

IX*)

მემუარები და ავტობიოგრაფიები იმათში ძალიან იშვიათია. ამ ბოლოს დროს ამერიკელი წიგნების გამომცემლები თითქო ამ გზას ადგებიან და იმათ მიერ გამოცემული ახალი წიგნები სულ ახალს ნათელსა ჰფენენ ამერიკის უკვე წარმავალ თაობის საზოგადოებრივსა, გონებრივსა და ზნეობრივს ცხოვრებას. ჯემს და ლუკრეცია მოტის მემუარებში, მარგარიტა ფულლერია და ოსსოლის ბიოგრაფიებში და მარია ჩაილდის წერილებში მშვენიერ და კეთილშობილ ქალების ტიპებია აწერილი. ამ ქალებს ქველ-მოქმედების საქმისათვის ჰქონდათ თავი გადადებული და უფრო უხვად იყვნენ თურმე მიმადლებულნი იმ დიდებულის სულითა და მაღალის ჭკუით, რომლითაც დაჯილდოებულია საზოგადოდ შეერთებულ შტატების ქალი.

დასასრულ, ამერიკული ჟურნალიზმიც, თუ განსაკუთრებით არ განირჩევა ინგლისურის ჟურნალების ცბიერ თავის მოკატუნებით, თუ განგებ არა სდუმს და არას ამბობს ზოგიერთ ცუდს ზნისას და იმ გნებისას, რომელიც ამ ზნეს მოაქვს, თუ საზოგადოებრივს ცხოვრებას ფარდას არა ჰხდის,—მაინც მხოლოდ იმას ამბობს, რაც ყველამ დიდი ხანია იცის და რაც ყველასათვის აშკარაა.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ ამერიკის ურიცხვს რომანებში რად არის ისე წვლილად და გარკვევით აწერილი ახალგაზდა ქალი, ხოლო ქმრიანს ქალზედ-კი კრინტიც არ არის დაძრული, თითქო იგი სულ არც-კი არსებობდესო. მართალი რომ სთქვას ადამიანმა-კი, ქმრიანის ქალის როლი ისეთი უფერული არ არის, როგორსაც გვიხატავენ იმათი რომანები, რომელნიც ამერიკის ოჯახის ქალს მხოლოდ დიასახლისად აგვიწერენ, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ბალი იყო გამართული და ეს ბალი, ან სხვა რამ ამბავი ღირსად ჩასთვალეს გაზეთში მოეხსენებინათ სადმე.

ამერიკელის ქალის ქმრიანობა, ეს შესანიშნავი საქმე იმისის სიცოცხლისა, თვით იმაზედვეა დამოკიდებული. თუ მის მიერ თავისუფლად და ძალ-დაუტანებლად ამორჩეულს მამაკაცს შეუძლიან მაშინვე მოუგიდოს ოჯახობას, ქორწინებასაც იმ წამსვე გაჰმართავენ ხოლმე. ხოლო თუ, პირ-იქით,—ესეც ხშირად მოხდება ხოლმე—მომავალის საქმროს მდგომარეობა მკვიდრს საძირკველზედ არ არის ჯერ დამდგარი, ყმაწვილი ქალი პირობას აძლევს და მოთმინებით მოელოდინება დასასრულს თავისის რომანისას. ხშირად ამერიკელი ყმაწვილი ქალი და კაცი რამდენსამე წელს არიან ხოლმე ჯვარ-დაუწერელნი, დაბელგილებსავით. ერთი ჩემი მეგობართაგანი, ზღვის აფიცერი, მთელი ჩვიდმეტი წელიწადი საქმროდ ითვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში არც იმასა და არც ქალს ერთს წუთსაც არ უღალატნიათ ერთმანეთისათვის, თუმცა ურთიერთს კარგა ხანგრძლივ იყვნენ განშორებულნი, ყმაწვილი კაცი ოკეანესა, აზიასა და ევროპაში დამოგზაურობდა, მიწერ-მოწერაც-კი არა ჰქონდათ, და თუმცა მშობლებიც ამ ქორწინების ხელის გამმართველნი არ იყვნენ. ასეთი ამბავი, რასაკვირველია, იქაც იშვიათია, მაგრამ ქორწინებამდე ხშირად რამდენიმე წელიწადი გაივლის ხოლმე და ეს-კი იმას ამტკიცებს, რომ საცოლ-ქმრო არჩევანს დიდის მოფიქრებითა და გულ-მოდგინებით მოეპყრობიან.

რადგან იქაურს ქალს მზითევი არა აქვს, ამიტომ კაცს ცოტაოდენი უნდა ებადოს რამე, უნდა ჰქონდეს ცოტაოდე შეძლება მაინც და ეს „შეძლება-კი ყოველთვის არა აქვს ხოლმე ბევრს იმ დროს, როცა ცოლს ირთავს. ცხოვრების ასპარეზზედ ახლად გამოსული ვექილი, ექიმი, ვაჭარი დიდის სიფრთხილით ეკიდება თავისს მონაგებს. ნიუ-იორკსა და ამერიკის ყველა დიდს ქალაქებში ცხოვრება და სახლი ფრიად ძვირია და კარგის მსახურის შოვნა-კი-ძნელი. ამიტომ მეტად კარგის სახსარისთვის მიუგნიათ და იმის წყალობით ახალგაზდანი იაფათაცა სცხოვრობენ, მცირე შემოსავლის დაგვარად, და არაფერსაც იკლებენ აგრე რიგად. ახალ ჯვარ-დაწერილნი სასტუმროში დგებიან, ოტელში. ასეთი ოტელი დიდ-ძალი არსებობს ყველა ფასისა და განსაკუთრებით ამ აზრითაც არის გამართული. აქ ახლად ჯვარ-დაწერილნი იჭერენ ცოტად თუ ბევრად მოწყობილს ოთახს, პურსა სჭამენ და მოსამსახურეც ეძლევათ, და ფულს კი ყველაფერში ან დღიურად იხდიან, ან თთვიურად.

ვისაც უნახავს ამერიკული სასტუმრო, უშველებელის და მშვენივრად მოწყობილის დარბაზებით, დიდრონის კიბეებით, რომელზედაც ძვირფასი ხალიჩებია დაგებული, გრძელ და ლაზათიანად განათებულ დერეფნით და სუფრის მდიდრულ მოწყობილობით, იმ სუფრისა, რომელზედაც სულ ბროლეულ-ვერცხლეული აწყვია,—ის ადვილად მიხვდება, რომ ამერიკაში სულ მცირე ფასად ადამიანს მილიონის პატრონსავით შეუძლიან იცხოვროს. რასაკვირველია, სასტუმროში ცხოვრება ჩვენს გემოვნებას ვერ დააკმაყოფილებს მაგრამ ასეთს ცხოვრებას თავისი სიკეთეცა სჭირს.

ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ ახალგაზდა ქალს, რომელიც სასტუმროში სცხოვრობს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ამერიკელი ქალი ამ სასტუმროშიაც-კი დედოფლად არის მიჩნეული და სარგებლობს საერთო პატივისცემით, თითქმის თაყვანისცემითაც-კი.

აქ, ამ სასტუმროში, კარგად სცხოვრობს იგი და ამასთან იაფადაც. ის ფულიკე რომ დაჰხარჯოს და სახლი იქირაოს სადმე, ჯერ ერთი, კარგს სადგომს ვერ დაიჭერს, მეორე—თითონვე უნდა დასტრიალებდეს თავს ერთად-ერთ მოსამსახურეს, უგუნურს გერმანელს დედაკაცს, ან კერპს ისლანდიელს, შეუკვეთოს ხოლმე საჭმელები და თითონვე თვალ-ყური უგდოს იმისს კეთებას, გაფაციცებით იყოს და კაჭრების მოტყუებას ერიდებოდეს, ანგარიშიანი იყოს, ერთის სიტყვით, ოჯახის მოვლა-პატრონობა იდოს კისრად. ასეთი საქციელი ცოლისა-კი სრულიად არ ეთანხმება ქმრის მდგომარეობას და არც მოეწონება მამაკაცს, რომელსაც ის უნდა, რომ, როცა შინ დაბრუნდება, ცოლი მორთული დახვდეს, მხიარული, მოცლილი. სასტუმროში-კი ამ ტლანქს სამუშაოსა და ამდენს ზრუნვას აცილებული ყმაწვილი ქალი ყოველისფრით მარჯვედ სცხოვრობს. როცა ქმარი შინ არა ჰყავს, თავისს ჩაცმა-დახურვის ზრუნვაშია, წიგნების კითხვაში, აქეთ-იქით სტუმრობაში. სასტუმროშივე სდგანან სხვა ყმაწვილი ქალებიცა, იმისთანავე მდგომარეობაში მყოფნი,—რომელნიც მეგობრობასა და ამხანაგობას უწევენ.

ქმრისთვის, როგორც ცოლისათვისაც, სასტუმრო დროებითი თავ-შესაფარია და თუ ხანდახან იძულებულ არიან დიდხანს დარჩნენ, მაშინ ამ ცხოვრებას თავისი ნაკლულევანებაცა აქვს. უმეტესად უსიამოვნება და აურზაური, გაზეთებში ნაამბობი, იქ მოხდება ხოლმე.

ცუდად, უსაქმოდ ყოფნა და განუსაზღვრელი თავისუფლება ამერიკელის ქალისა ფრიად საშიშია და იმათს კეკლუცობას ძნელია კაცმა გარკვეული წრე შემოავლოს. ქმარი მთელი დღე მუშაობაშია სახლს გარეთ, ცოლს საქმე არა აქვს, ვისაც უნდა ისტუმრებს და ვისაც უნდა ესტუმრება და მიდის, სადაც მოისურვებს. ზოგიერთის დედაკაცისათვის კეკლუცობა მეორე ბუნებაა და ქმრიანობის დროსაც ისევე ჰყავთ ხოლმე დიდ-ძალი თაყვანის-მცემლები, როგორც ყმაწვილ-ქალობაში ჰყავდათ. მაგრამ ამ ლიპს გზაზედ ხშირად უცურდებათ ფეხი და იღუპებიან, რადგან პატივისცემა მამაკაცისა ფარად და ხმალად აღარა აქვთ, რომ დაიცვან თავისი ქალობრივი სისუსტე და უღონობა.

ეს მათი ცხოვრება უფრო საფრთხილოა ეგრედ წოდებულ boarding houses-ში, პანსიონისებურს დაწესებულებაში, სადაც უფრო ღარიბნი ცოლ-ქმარნი იყრიან თავს საცხოვრებლად, რათა ცხოვრება უფრო იაფად დაუჯდეთ, ვიდრე სასტუმროებში ჰღირს. აქ იჭერენ ესენი ერთს ოთახს, საერთო დარბაზში სჭამენ სადილსა და დროსაც იქ ატარებენ. „ათი, თორმეტი და თხუთმეტი ოჯახი ერთად იკრიბება აქაო, ამბობს მოხუცი კრიტიკოსი ამერიკელთა ულდიო ჯანნე: და ადვილად წარმოსადგენია, რა ამბავიც უნდა ტრიალებდესო“. პირველი მიზეზი ასეთის ცხოვრებისა დიდრონ ქალაქების სიძვირეა და აგრეთვე სიძნელე კარგის მოსამსახურის შოვნისა, ისეთის მოსამსახურისა, რომელსაც თავისის საქმის კარგად გაკეთება შეეძლოს და პატრონების ცხოვრება ყოველისფრით უნაკლულო ჰყოს.

ქალი თუ მდიდრულს ცხოვრებას არის ამერიკაში მოწადინებული, მამაკაცი სულ არ მისდევს ნებიერობას. იმას ფული უყვარს და იმის მოგებასაც ანდომებს მთელს თავისს უნარს, თავისს მოცალეობას, ძალასა და ღონეს. ამ მოგებულის ფულით-კი მცირედ სარგებ-

---

*) იხ. „ივერია“ №№ 139, 140, 141, 143, 144, 145, 146, 147, 148 და 149.

ლობს, ცოლია იმისი გასანებიერებელი, იგია ფულის ხარჯვის მოხელე. ძნელად წარმოიდგენს ადამიანი იმ სიმდიდრეს, რომელიც გარს ახვევია მეუღლეს იმ შეძლებულის ბანკის პატრონისას, რომელსაც სულ უბრალოდ აცვია და უბრალო კაშკარსა ჭკავს გარეგნობით. ვისაც ამერიკელის ქალის დაფასება უნდა, აი სწორედ ამ სიმდიდრეში უნდა გაიცნოს იგი.

ამერიკელი ქალი თავისის სილამაზისა, მოწონების ხელოვნებისა და გონიერის არჩევანის წყალობით სარგებლობს კარგის ცხოვრებით. ქალსა და კაცს სულ სხვა-და-სხვა გვარი ასპარეზი აქვთ სამოღვაწეოდ. ცოლი მონატრულია სიმდიდრეს, საზოგადოების დედოფლობის სკიპტრას; ქმარი — მილიონებით მოპოვებულს ძლიერებას, რომელიც სახელმწიფო მეთაურის ძლიერებაზედ უფრო მკვიდრია და სასურველი, რადგან სახელმწიფოს მეთაურს სულ 100,000 მანეთი ეძლევა წელიწადში ჯამაგირი და მხოლოდ ოთხის წლით არის ამორჩეული.

„როცა ერთი ჩვენი რკინის გზის მეფეთაგანი ნიუ-იორკიდგან დიდის ოკეანის ნაპირზედ მიდის თავისის საკუთარის მატარებლით, მთელი დღესასწაული იმართება ხოლმე, ამბობს პროფესორი ბრაისი: შტატების მმართველები ეგებებიან, დიდის დიდებით უხვდებიან, და ყველა ქალაქები სცდილობენ იმისი გული მოიგონ“. ყველა საზოგადოებას ერთი, ან რამდენიმე მეთაური ჰყავს; რაც უნდა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი ეს საზოგადოება, თავისი არისტოკრატია მაინც ეყოლება, არისტოკრატია ფრანგთა და ინგლისელთაგან შემდგარი და სამხრეთ შტატებიდგან თავ-მოყრილი. ამათი შთამომავლობა მომდინარეობს ინგლისის მეფეთა ედუარდ I-სა, ჰენრიხ მე-IV და ედუარდ III-საგან, შოტლანდიელის იაკობ II-საგან და საფრანგეთის მეფის ფილიპპე III-საგან.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

15 მკათათვე

ვენა. მილანმა მიიღო მინისტრები და გამოუცხადა: გულით მოხარული ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში სრული მშვიდობა და წესიერება ჰსუფევსო. ამ მოკლე ხანში მილანი პარიჟს აპირობს წასვლას და იქ ორს თვეს დარჩება.

ლონდონი. დღეს შუადღისას ბუკინგემის სასახლის კარის ეკკლესიაში ჯვარი დაიწერა გრაფმა ფეიფმა და პრინც უელსის ქალმა.

16 მკათათვე

პეტერბურგი. ყოვლად-მოწყალედ ნება-დართულ იქმნა, რომ ყველგან მოგროვდეს შეწირულობა ამ ბოლონდელ მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის სემირეჩინისა და სემიპალატინის ოლქებში.

დიდს მთავარს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს უკეთესობა არ ეტყობა. მხოლოდ მადა მოემატა. მთელის დღის განმავლობაში უავგუსტოესი ავადმყოფი მოუსვენრად იყო: რამდენჯერმე სავარძელში ინება მოსვენება და მღელვარებდა. ღამე ერთიანად ძილი გაუფრთხო მოუსვენრობამ.

პარიჟი. ბულანჟეს კანდიდატობა გამოცხადებულია 135 კანტონში, ხოლო «Temps»-ის აზრით უფრო მომეტებულს კანტონებში.

ბევრს გაზეთშია მოხსენებული დაბეჯითებით, რომ უმაღლესის სასამართლოს განაჩენის შემდეგ ბულანჟეს მისცემენ სამხედრო სამართალში და ისე განსჯიან, როგორც ხაზინის გამქურდველს ბრალდებულსაო.

ნიჟნი-ნ.-ნოვგოროდი. დღეს ამართეს სავაჭრო ბაირაღები ნიჟეგოროდის ბაზრობაზედ.

17 მკათათვე

პეტერბურგი. დიდმა მთავარმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ შაბათი დღე კარგად გაატარა, უფრო სავარძელში იჯდა; მოუსვენრობდა ნაკლებად; სუნთქვა ჯერ ისევ წესიერი არა აქვს. ღამე კარგად გაატარა.

პარიჟი. დღეს ნაშუადღევის 2 საათზე გამოირკვა შედეგი 420 არჩევანისა საგენერალო საბჭოში: რესპუბლიკელებმა სამი ახალი ადგილი შეიძინეს. 37 კანტონში ხელ-მეორედ უნდა იყაროს კენჭი; ბულანჟე აირჩიეს 9 კანტონში, ხოლო 47-ში დამარცხდა. არჩევანებმა ისე გაიარა, რომ უწესოება არა მომხდარა-რა.

ბელგრადი. მთავრობამ მიიღო ოფიციალური უწყება, რომ ტემელი დაინიშნა სერბიის სამეფო კარის წინაშე ავსტრიის ელჩადაო. ტემელი დანიშნეს პირობის წინაალმდეგ და არც უკითხავთ წინდაწინვე, რომ ამასა და ამას ვნიშნავთო.

მილანი ამ დღეებში მიდის ვსანიუს და იქ უნდა ჰნახოს რისტიჩი, რომელიც თანდათან უკეთ შეიქნა. მეფე ალექსანდრე პარიჟის გამოფენაზე არ წავა.

ვენა. დაქვრივებული მემკვიდრე პრინცესა სტეფანია იქით კვირია დიდის ხნობით მიდის ბელგიაში საცხოვრებლად.

ოფიციალურის ანგარიშით, მოსავალს ტიროლში არა უშავს-რა; ჩეხიასა და მორავიაში-კი ნაკლებად არის მოსავალი; სილეზიასა და გალიჩინაში-კი სრული მოუსავლობაა.

პეტერბურგის ბირჟა, 14 მკათათვე.

	მყიდველთა.	გამყიდველთა.	გაყიდულთა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	7 76
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	$155\frac{3}{4}$
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 13
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	265
—მეორისა	246	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	99 „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	$98\frac{1}{2}$	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	$84\frac{1}{2}$	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ვაჟა-ფშაველას (ლ. რაზიკაშვილის)

მოთხრობანი

ფასი 30 კაპ.

ამავე მაღაზიაში ისყიდება

ი. გ. ჭავჭავაძის

მოთხრობა

„გლახის ნაამბობი“

ფასი 25 კაპ.

(10—2)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან	კაპ.
ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა»	„	10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	„	60
თორნიკე ერისთავი . . .	1	
საყმაწვილო ამბები . . .	„	40
ნინო ორბელიანის ლექსები	„	40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა.	„	80
სურამის ციხე	„	20
გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . .	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . .	„	30
მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა.	„	25
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . .	„	10

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—12)

ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

„საქართველოს კალენდარის“

რედაქციისაგან.

„საქართველოს კალენდრის“ რედაქცია უკვე შეუდგა 1890 წლის კალენდრის შედგენასა და საჭირო მასალის მომზადებას. კალენდრის სისრულისა და სავსებისათვის საჭიროა მრავალ გვარი საქართველოს შესახები ცნობა და მასალა, ბეჯითად და ზედ-მიწევნით გამოძიებული. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ყოველს ქართველს, ვისაც-კი შეძლება აქვს თავის სამსახურისა და მდგომარეობის გამო რომელიმე წყება და რიგი იმ ზედ-მიწევნილთა საკალენდარო ცნობათა და მასალათა შეიტყოს და მოიპოვოს, მოგვაწოდოს და ამით ჩვენც დაგვავალოს და ჩვენს საზოგადოებასაც, რომელსაც ასე ძალიან ეჭირვება ყოველისფრით სრული, სავსე და ვრცელი საკალენდარო წიგნი. თავის მხრით რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ბეჯითად მოეკიდოს ამ რთულს საქმეს, აიცილოს თავიდამ ის ნაკლებულება, რომელიც პირველ ხანში ძნელად ასაცილებელი იყო, და სამერმისოდ უკეთესი კალენდარი შესძინოს ჩვენს საზოგადოებას.

ზემოხსენებული ცნობა და მასალა სასურველია მოუვიდეს რედაქციას 15 სექტემბრამდე.

რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარს სალიტერატურო ნაწერს და ცალკე გამოკვლევას კალენდრის სალიტერატურო განყოფილებაში დასაბეჭდად.

რედაქცია მიიღებს კალენდარში დასაბეჭდად ყოველ გვარ განცხადებას როგორც ქართულს, ისე რუსულსა და სხვა ევროპულს ენაზე შემდეგის პირობით: ერთი გვერდი წიგნის თავში ღირს 12 მან., ნახევარ გვერდი — 7 მან. წიგნის შუაში ერთი გვერდი 10 მან.- ბოლოში — 6 მან. წიგნის ბოლოში: ერთი გვერდი — 5 მან., ნახევარ გვერდი — 3 მან., მეოთხედი — 2 მან.

ვინც განცხადებას დაჰბეჭდავს კალენდარში, 1890 წლის კალენდარს უფასოდ მიიღებს განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ ტფილისში: ვ. გუნიას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ქუთაისში — წერეთლის წიგნის მაღაზიას, ფოთში — ნოდიას წიგნის მაღაზიას, ბათუმში — მ. ნათაძეს.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ. Дворянскій банкъ.* **Валеріану Гунія.** (10—7)

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი — თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა, — ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა, — სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 17-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე